საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1407 2016 წლის 14 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის გამოსავლენად ჩასატარებელი ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის საკონსულტაციო-საექსპერტო (გადამუშავების) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის გამოსავლენად ჩასატარებელი ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის საკონსულტაციო-საექსპერტო (გადამუშავების) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს „ფრაისვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზიის და კავკასია ბი. ვი-ს ფილიალისაგან საქართველოში“, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი